საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №ი-267

ქ. თბილისი "07" 06 2010 წ.

შ.პ.ს. თურქულ ქართული ერთობლივი კომპანია „ბლექ სი გრუპი"-ს "ასფალტის წარმოების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს 07.06.2010წ. №35 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა შ.პ.ს. თურქულ ქართული ერთობლივი კომპანია „ბლექ სი გრუპი"-ს „ასფალტის წარმოების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე";
2. ამ ბრძანების პირველი პუქტით გათვალისწინებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შ.პ.ს. თურქულ ქართულმა ერთობლივმა კომპანია „ბლექ სი გრუპი" უზრუნველყოს პირველი პუნქტით განსაზღვრული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულება;
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს შ.პ.ს. თურქულ ქართულ ერთობლივ კომპანიას „ბლექ სი გრუპს";
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შ.პ.ს. თურქულ ქართული ერთობლივი კომპანია „ბლექ სი გრუპი"-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქუჩა №7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის 1005.2010წ №479 განცხადება, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა 07.06.2010წ. №35; და ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი.

ასლი სწორია

გიორგი ხაჩიძე
მინისტრი

ეგზავნება: ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს, გარემოს დაცვის ინსპექციას, ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობას, შ.პ.ს. თურქულ ქართულ ერთობლივ კომპანია „ბლექ სი გრუპს".